



Project funded by the
EUROPEAN UNION



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია შავი ზღვის მდინარეთა აუზების ეკოლოგია



(კონფერენციის ორგანიზება ხორციელდება საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორჯიკას“ მხარდაჭერით, საქართველოს პარტნიორი ორგანიზაცია ევროკავშირის მიერ ერთობლივი საოპერაციო პროგრამა „შავი ზღვის აუზი -2007-2013“ <http://www.blacksea-cbc.net>) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ”მიწათსარგებლობის ინტეგრირებული მოდელირება და მართვა შავი ზღვის ესტუარებისათვის (ILMM-BSE, <http://e-blacksea.net>)

თარიღი:

- 05 ოქტომბერი 2015

ადგილი:

- ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი

მოთხოვნები:

- კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ ბსუ და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს
- მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაიარონ [რეგისტრაცია](#)
- ძირითადად ავტორმა მოთხოვნილი ფორმატით უნდა წარმოადგინოს ვრცელი ილუსტრირებული [თეზისები](#), ორ ენაზე, ქართული და ინგლისური (ორი ცალ-ცალკე ფაილი), გაგზავნით ელექტრონულ ფოსტაზე office@civitas.ge
- გადაწყვეტილება თეზისების მიღების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტით
- ძირითადი ავტორისათვის აუცილებელი პირობაა მოთხოვნილი ფორმატით [პრეზენტაციის](#) წარმოდგენა კონფერენციაზე
- ავტორებს პრეზენტაციისთვის დაეთმობათ 10-15 წთ, დისკუსია 5-10 წთ
- მასალები დაიბეჭდება კონფერენციის შემდგომ და დაეგზავნებათ ძირითად ავტორებს





Project funded by the
EUROPEAN UNION



კონფერენციის თემატიკა:

- შავი ზღვის წყალშემკრები აუზების გეოინფორმაციული სისტემები (GIS)
- წყალშემკრები აუზების მონიტორინგი და ჰიდროლოგიური მოდელირება
- სანაპიროს წყალშემკრები აუზების მონიტორინგი რეალურ დროში
- ესტუარების, ჭარბტენიანი ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნება
- ესტუარების, ჭარბტენიანი ჰაბიტატების და წყალშემკრები აუზების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები
- ტრანსპორტის, ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების მართვა წყალშემკრებ აუზებში
- კლიმატის ცვლილებისა და ზღვის დონის მატების ზემოქმედება დელტებსა და წყალშემკრებ აუზებზე
- მიწათსარგებლობა და მიწის დაფარულობა შავი ზღვის წყალშემკრებ აუზებში
- სივრცითი დაგეგმვა, მართვა, რეგულირების პოლიტიკა და განვითარების სტრატეგიები წყალშემკრებ აუზებში
- სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, რეკრეაციის ინტეგრირებული განვითარება
- "ბუნებრივი კაპიტალის" შეფასების მეთოდოლოგიების გამოყენება
- შავი ზღვის წყალშემკრებ აუზებში მიწათსარგებლობის ზემოქმედების ინდიკატორები და ინტეგრირებული ინდექსები
- ზეწოლა-მდგომარეობა-რეაქცია (PSR) ინდიკატორების შემუშავება გადაწყვეტილების მიმღებთათვის
- გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემები შავი ზღვის მდინარეთა აუზებისათვის
- ტრანსსასაზღვრო პრობლემები
- გარემოზე და სტრატეგიული ზემოქმედების შეფასება
- საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- დაცული ტერიტორიები შავი ზღვის წყალშემკრებ აუზებში
- სანაპირო და წყალქვეშა არქეოლოგია და გარემო
- სხვა დაკავშირებული საკითხები

მნიშვნელოვანი თარიღები:

- 2015/09/10 – რეგისტრაციის ბოლო ვადა
- 2015/09/20 – თეზისების წარდგენის ბოლო ვადა (ელ. ფოსტა office@civitas.ge)
- 2015/09/20-25 – თეზისების განხილვის ვადები
- 2015/09/25 – ავტორთათვის შეტყობინების თარიღი
- 2015/09/30 პრეზენტაციების წარდგენის ვადა
- 2015/10/05 კონფერენციის გამართვის თარიღი

კონფერენციის ფარგლებში მონაწილეთათვის განსაზღვრულია უფასოდ:

- კონფერენციის მასალების ბეჭდვა (ქართულ და ინგლისურ ენაზე)
- ღამისთევა და ტრანსპორტირება მონაწილეებისათვის (საჭიროებისამებრ)
- შესვენებები ყავა/ჩაი/სადილი





Project funded by the
EUROPEAN UNION



თეზისების გაფორმების წესები:

- ილუსტრირებული თეზისების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გვერდს (ლიტერატურის ჩათვლით, ინგლისური ვარიანტი)
- გვერდის ზომა A4 (210 x 297 მმ)
- თეზისები წარმოდგენილი უნდა იყოს Word-ის ფორმატში (*.doc ან .docx)
- ველის ზომა 2,5 სმ (ზედა, ქვედა, მარჯვენა და მარცხენა)
- შრიფტი Sylfaen ქართული ტექსტისთვის და Calibri ინგლისური ტექსტისთვის, შრიფტის ზომა – 12
- ინტერვალი ერთი, სექციებს შორის ცარიელი ხაზით
- მოკლე ინფორმატიული სათაური (შრიფტის ზომა – 16)
- ავტორ(ებ)ის სახელ(ებ)ი და გვარ(ებ)ი, ორგანიზაცია, მისამართი, მთავარი ავტორის ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური
- ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს 150-250 სიტყვას
- ცხრილები, გრაფიკები, ფოტოები, რუკები და სხვა უნდა დაინომროს და შესაბამისი თანმიმდევრობით იქნას ციტირებული თეზისში (გრაფიკული მასალის მინიმალური რეზოლუცია – 300 dpi, შრიფტის ზომა – 10)
- წარწერა უნდა გაკეთდეს უშუალოდ გრაფიკული მასალის ქვემოთ
- ცხრილისათვის წარწერის ადგილი ზემოთაა
- ფორმულები აიკრიფოს Microsoft equation editor-ის რედაქტორის გამოყენებით
- ლიტერატურის ციტირება ავტორ(ებ)ის გვარ(ებ)ისა და გამოცემის წლის (ფრჩხილებში) მითითებით
- ლიტერატურის ჩამონათვალი უნდა დალაგდეს ანბანის მიხედვით, წლების მითითებით (ფრჩხილებში)
- არ გამოიყენოთ სქოლიო, აბზაცის ტაბულაცია, მარჯვენა ველის გასწორება, სიტყვის გადატანა, გვერდების დანომვრა, ჰედერი და ფუტერი

ბსუ საკონტაქტო პირი:

- იზოლდა მაჭუტაძე, მობილური 593 30 39 57

ელექტრონული ფოსტა თეზისების წარსადგენად:

- office@civitas.ge